

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზბიანი გაზეთი. გავრდის ყოველ კვირა დღეს.

№ 38.

სამბთებერი 11, 1894 წ.

№ 38.


შინაარსი: თ. ვახტანგ გურამიშვილი აცაკისა. — რა გერჩება კადევ სათხოვარი? — საყურადღებო ამბები. — სიტყვა თქმული ღმერთისა და რაჭველისა. — აბრეშუმის მოსავალი და ჩარჩები ხონში. — საგრამატოკო კვლევა კ. დოდაშვილისა. — გემის და-ღუპვა, ლექსი სილოვანისა. — გრიტიკა: ქართული გლენისშვილი ნომლილისა. — კერძო განცხადებანი.

† თ. ვახტანგ გურამიშვილი

შეგონება

ფილან და ღმერთს აზიან ჩვენში სხვა-და-სხვა სარბიელზე დიდი შესანიშნავი კაცები და ერთ ამთიგანს ეკუთვნოდა ამ ღმერთში გადაცვლებული ვახტანგ ვახტანგის ძე თავადი გურამიშვილი. რო-

შინც კი კალამს აიღებს ხელში, გინდ წარა-მარა მგლანელიც იყოს, და ან სცენაზე შეიკუნტრუშებს, ყველა საზოგადო მოღვაწედ მიანიით ჩვენში, თითქოს ამ ორი ასპარეზის მეტი ჩვენ ცხოვრებაში აღარა იყოს-რა. ეს მისი ბრალია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ვერა სჯის და ვერ მოქმედობს თავის თავად და უმეტესობას მარტო წამხედურობა ამოქმედებს. თუშეკა იშვითად, მაგრამ ყო-



ღმერთს ჩვენში ახალმა მოძრაობამ თავი იჩინა, ვახტანგიც დიდ მონაწილეობას იღებდა თავისი თანაგრძობით და მხრის მიცებით ამხნეებდა ახალთაობის მოწინავე გუნდს. — ის იყო საკმაოდ გონება-გავითარებული, კარგი ჭკუა-გონების პატრონი; გულ-კეთილი და გულ-წრელი, მაგრამ იმავ დროს თავშეუკამებელი და ფიცხი; და ეს სიფიცხეც გამოწვეული იყო ხოლმე ყოველთვის პატრონურ მღელღე-

თ. ვახტანგ გურამიშვილი.

რებით. როგორც ნიჭიერი და შესანიშნავი ჩინოვნიკი სამსახურშიაც მეტად დაწინაურდებოდა, თუ ამ სიფიქსესა და უფროსებთან შეუპოვრობას არ შეეშალა ხელი. — სამინუსოთ გავისწერებთ ჩამოღწეულს შემთხვევას მისი ცხოვრებიდან: რუსეთიდან ახალი ჩამოსული ციყვი, ბულგარში შემხვდა კამენდანტო, გამაჩრვა და დამოწყო ღრიალი: თავზე ქუდი რათ ვახურავსო? მე ვიყო მეგობარი, მიგრალი და მოეშორდი, მაგრამ კამენდანტმა მიანც აღარ მომიცენა და ჭანდრის პოლკოვნიკს შეატყობინა* „თავზე გარიზადლის ქუდი ახურავს და დიკირეთო! ამ ტირიფულობამ და ახირებულობამ ბატონი კამენდანტისამ, რასაკვირველია, უქმად ჩაიარა, მაგრამ დიდი აჯალ-მავალი კი გამოიწვია საზოგადოებაში, ყველაზე უფრო თავს გამოიდგა ვახტანგ გუჩუამიშვილმა; შეხვდა კამენდანტს და უთხრა: „სულაო პოლკოვნიკო, როგორც ჩანს თქვენ თქვენი მოვალეობა არ გესმისთ, რომ ქუჩაში აღარავის ატარებთ და არა მკითხე მოამხესაეთი სსასკინო საქმეებში ეჩრებიოთ. თქვენ თუ თავი გინდათ გამოიჩინათ. ქუდებს კი ნუ ემებთ ქუჩა-ქუჩა (და ამას არც არაინ ვაულებსთ), თუ გულს გერჩისთ, მიბძანდით და თითონ გარიზადლი დაიკირეთო!“ შერცხებნილმა ჩაინდმა აღარ იცოდა, თუ რა პასუხი მიეცა და მერე საკუთარი ქუდის ჭელის მოკიდებაც კი ეხარებოდა, არა თუ სხვისი. — ერთხელ, სოვეტნიკობის დროს, თავის ხელ-ქვეით ჩინოვნიკს გაუჯგავრდა, რომელიც თურმე სრულად მართალი იყო, მაგრამ შიშით სიტყვა ედღარ შეუბრუნა უფროსს. ბოლოს, როდესაც გაიყო სიმაჩრდი, მოიხიბო ყველა ჩინოვნიკები და უთხრა: „თქვენც მისთანა ყაცები ხართ, როგორც მე, მაგრამ დროთა ვითარებას თქვენი გული ისე გაუტეხია, რომ უფროსები მგლები გგონიათ და თქვენი თავი ცკერები; ჩემთან ეს აღარ გაბედლო! გულ-გახსნით იყავით! ტუღს ნურას იზამთ და უსამართლობათ თავს ნურავის დაწაფერებეთო!“ ამ სიტყვებს შემდეგ მოიხიბა ბოდიში იმ მისგან შერისხულ ჩინოვნიკთან და შერისხვის ნიშნათ სადილოთაც დაპატოვა. იმ დროს უფროსის ამგვარი მოქმედება, რასაკვირველია, ყველას ახირებულობათ მიაჩნდათ, მაგრამ ვახტანგი ამისთანაებს არ დაუედა და ჟოველგან და ჟოველთვის თავისნება კაცი იყო. — ერთ თავადიშე-ღს წვეულება ჰქონდა; ვინც კი თვალაჩინო იყო, არაინ კლებია. თავის თავად, რასაკვირველია, დაუპატრებლად ერთი ვინმე შემწილო კაცი, გვართა მკალოთა, გამოერია და დაიწყო ლექსების კითხვა: ერთმა ბობოლა ვინმე სიცილით უთხრა ჭკუა-თხელ დეკლამატორს: „მკალოთაივ, ეგ შენი ლექსები დააბეჭდენი „დროებაში“

და ქართველები პირველ პოეტს გიწოდებენ და ჭკიანსაც დაკიძახებენო.“ მე და იმ ბობოლას ერთმანეთში უსიამოვნება გეკონდა; ორი წლის განმავლობაში ერთმანეთისათვის ხმა არ გავცივია და, რასაკვირველია, მისი სიტყვები ჩემ თავზე მივიღე; მომიგდა გული, მაგრამ შევიმარტოთ თავი და სიცილით მიუბრუნე, მაკალოთაიას: „ბატონო მკალოთაიავ! თქვენ მაკ ლექსებს „დროებაში“ არაინ დაგზიბდესოთ და პოეტსაც არაინ გიწოდებთ, მაგრამ სტამბის მართველობა თუ გინდათ, ის კი შეიძლება იშოვოთ რადგანაც, როგორც ახლა ეხედავ, საზოგადო მართველობას დიდი ჭკუა არ ნდომებია.“

ბობოლა ვის ჩემი სიტყვები იუყადრისა, დაველო ქუდს ხელი, გამოვთხოვა სახლის პატრონსა და სადილოთ აღარ მოცინა. აქ ერთმა ირეგულიარის პოლკის აფიცრმა ბ. გ.—ძემ კუდაბუკობით ხანჯალ-ამოდებულმა შემომიტია მე და დამიწყო ღანძლე. ამ მოულოდნელ ამბავზე ყველა შეკრთა, მაგრამ ამ დროს გამოვარდა მეორე ოთახიდან ვახტანგ გუჩუამიშვილი, რომელიც იმ დროს ელისავეტპოლის ვიცეგუბერნატორი იყო და შემთხვევით დაესწრო ამ შეჯგობრს, მივარდა პირდაპირ აუციტებს, შეუყვია, ჩააგებია ხანჯალი, გაღანძლა და ეღამიწასთან გაასწორა. მერე მიუბრუნდა სახლის პატრონს და უთხრა: „სადაც ქართველებს დაკინან და ღანძლენ, მე იქ პურს ვერა ეჭმავ.“

ნიკოლი პეტროვიჩი კულბაიკინი შესანიშნავი კაცი იყო და ყველას ძალიან უყვარდა, მაგრამ ჩრედესაც გული მოუყვიდა და ექვარაინ მიგატრებოდა ხოლმე ვერც რუსი და ვერც ქართველი; ერთს მხოლოდ ენ. ს. აბ.—ძეს შეეძლო მისი ნელ ნელა დამეშვიდება. ერთხელ გულისწყრომის დროს შერისხა ვახტანგის ხელ-ქვეითა ჩინოვნიკი და სრულიად უსამართლოდ გაგზავნა ნაობახტი. ვახტანგმა, როგორც უფროსმა, თავს გამოიდგა და მიმართა კულბაიკის. ამ ორ ერთ ხასიათის კაცს მოუყვდათ ლაპარაკი, არც ერთი არ უთმობდა ერთმანეთს და ბოლოს ისე გაწვეულდა საქმე, რომ კულბაიკინი შევარდა კაბინეტში, წამოიყვტა კარებს და იქიდან უყვიროდა; ვახტანგიც მიადგა კარებს და აქედან შერისხლდებდა; სხვა ჩინოვნიკები შიშის ზარბაძიანა და მიმალ-მიმიმალენ. ვახტანგმა იქვე დაწერა სამსახურად გამოსვლის თხოვნა და დაუტყვა გუბერნატორს, მეორე დღეს გულ-მობრუნებულმა კულბაიკინმა დაიბარა ვახტანგი, ბოდიში მოიხიბა, როგორც იმისთან ისე მის ჩინოვნიკთანავე და უთხრა ვახტანგს: „მე და შენ ორივე ერთი გულისა ვართ და თუ მღებოთ გწამს, როცა მე გუნებაზე არა ვარ, ნუ მომეკარებო და მეც ჩემი მხრით, როცა გუნებაზე არ იქნე-

ბი, არას გეტყვიო! ამგვარი რამ ბერძნულად გადამდომია თავზე ვახტანგს, მაგრამ ყოველთვის კულობაკინები შეხედებოდნენ? ამ რამდენისამე წლის წინეთ უკანასკნელათ შეხედვი ვახტანგს ტფილისში, მეტად მოხუცებულიყო, მაგრამ გული კი ისეე ყმაწვილური ჰქონდა; ეტყობოდა რომ შორიდანაც თვალყური ედევნებია ჩვენი ცხოვრებისთვის და არაფერი სამინიშნელი არ დავდგო უყურადღებოთ. მოვიგონეთ წარსული დრო, შევადარეთ ამ ახალ დროს, ზოგი ეს ეთქვით, ზოგი ის. ბოლოს მითხრა: „ეს ტყვილათ გაგტყნია გულიო! რაც უნდა იყოს ახლა მინც უკეთესი სუნი დისო. იმედი ხომ ჩაგვეყვება საფლავში და ისიც კი ღეთის წყალბაბაო. ზოგიერთის ჩიხიაბამ გული როდი უნდა გაგტყნოსო.“

ამ ლაპარაკის დროს ჩვენ მოუტაიდში დავდიოდით, მიმოყანა ერთ ვაშლის ხესთან და მითხრა: „ვერ ხედავ, რამდენი ვაშლი ყრია ძირს ქარისაგან მოწყვეტილიო?, მაგრამ იმედია, ამითი ხე არ გახმებაო. რაც კარგია, ისეე მაგრათ შერჩენია მაღლა შტოებზე და მოსავალს უტდისო.“ ამ სიტყვებს შემდეგ კი გამოამთხოვა და მითხრა: „ახლა მეტი აღარ მცალია, მიმეჩქარება; ჩვენი საუბარი ასე ჩქარა არ ვათავდებ, თუ მეწვევი განჯაში, ხომ კარგი, თუ არა და საიქიოს დავასრულოთო!“ ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ჩემდამო, იმ კარგ ქართველი კაცისა, რომლის მსავსეც ძველებთაგან ბევრი აღარ დარჩენილა ჩვენში.

აკო

რა გვრჩება კიდევ სათხოვარი?

მახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო საქმეთა მინისტრს ბევრი რამ მოხსენდება ჩვენ საქიროებაზე, მაგრამ იქნება არც ერთი არ იყოს ისე საქირო და საზრუნავი, როგორც ჩვენი უადგილ-მამულთა თავდაზნაურობის მდგომარეობა. ჩვენი ეკონომიური გაჭირვება იქამდის მივიდა, რომ განჩნდა აზნაურთა უმიწაწყლობა. დღეს ჩვენში თანდათან მატულობს აზნაურთა პროლეტარიატი. შარშან საშელოდ აღრიცხული იყო მარტო ერთს გორის მახრამში ასამდის ისეთი აზნაური, რომელსაც არც სახლკარი და არც ადგილ-მამული აღარ მოეძევა; მაგრამ ამაზე ერთი ორად და ერთი სამად უფრო მეტი რიცხვი იმერეთში და სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეებში დაბოგინებენ კეთილშობილთა შთამომავლობისანი, რომელნიც მხოლოდ მუშობლების დახმარებით და მიწყალებით გამოდიან. ისინი გამხდარან დღეს ჰაერისა და წყლის ანაბარათ. მათთვის აღარც მამული და აღარც დედუღია. აი, ამათი ბედლა ყველაზე უფრო საზრუნველი და საქირობოტო ჩვენი თავდაზნაურობის წარმომადგენლები-სთვის. ჩვენი ქვეყნის შვილი—ჩვენი სისხლი და ხორკი—ასეთს გაჭირვებაში არიან ჩაყარნილნი და ნუ თუ ჩვენ იმათი მომავალი არ უნდა გვაფიქრებდეს, არ უნდა გეკლავდეს გულს. ისინი მოსხლეთილან

თავის სამშობლო მიწაწყალს და საზოგადო დლიური გაჭირვება არც აძლევს იმათ ღონისძიებას სადმე ფეხი მოიკიდონ ჩვენს ქვეყანაში, რადგანაც კარიგული დაუსახლებელი მიწა აღარსად არის და ეინც დასახლებულთა, იმათაც უჭირთ ერთ ფეხს დადგმაზე თავი იჩინონ. მაგრამ მაგიერად ბევრია დაუსახლებელი ადგილები შავიზღვის პირად, საცა, წინეთ ჩერქეზები და ავხაზები ცხოვრებულან. აი, ზედგამოჭრილი ჩვენი ბოგანო უმიწაწყლო აზნაურებისათვის დასახლებელი ქვეყანა. თვით სახელმწიფო პოლიტიკაც და მისი მომავალი სიკითხე იმას საქიროებს, რომ საქართველოს განაპირი და მოსაზღვრე უდაბური შავის ზღვის კიდებები ჩრდილოეთისაკენ იყოს დასახლებული უერთგულესი რუსის ხელმწიფის ქვეშევრდომებისაგან. და ამ შემთხვევაში ქართველ აზნაურობისთანა უფრო თავგაწირული რუს-ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომი წოდება, ევონებ, არსად მოაპოვება. კიდევ ეს გარემოება უნდა აძლევდეს უფლებას ჩვენს ტფილისისა და ქუთაისის თავდაზნაურთა წინამძღოლებს მოახსენონ სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო საქმეთა მინისტრს უმიწაწყლობა ზოგიერთ საქართველო-იმერეთის თავდაზნაურთა, რომ მათ იმპერატორებით უდღებულესობის წინაშე იშვამდგომლოს, რათა ჩვენს უადგილ-მამულთა თავდაზნაურებს მიეცესთ ჩრდილოეთის შავი ზღვის პირად სამყოფი მიწაწყალი დასახლებულად. ამას მაოთხოვს სახელმწიფოს სარგებლობა და ქვეყნის ინტერესი.

საყურადღებო ამბები




ფილისის საბჭომ დაამზადა მოხსენება სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო საქმეთა მინისტრის მისართმევად. იგი ითხოვს უმაღლესი პოლიტექნიკური სასწავლებლის დაარსებას ტფილისში. საბუთად მოჰყავს ის გარემოება, რომ კავკასია და სრულიად საქართველოს მხარეები მადნეულობით და მიწის მოსავლით არიან შემცულნი. ბუნების სიმდიდრემ თავის თავად იჩინა აქ თავიო, აყვავდა ნეთისა, ქვა-გუნდისა (მარგანიტის) და ქვანახშირის წარმოებაო; მრავალი სხვა მადნეულობაც ელის მცოდნე და დახლოვებულს კაცებს. რომ ამთი წარმოებით გამდიდრონ მხარე და გააკვირონ დედა მიწის ქვეყნებია, მაგრამ რომ ჩვენს ქვეყანას ნამდვილი სიმდიდრე დაეტყოს, მარტო ის არ კმარა, რომ კავკასიიდან მადნეულობა მარტო სხვა ქვეყნებში გაქონდესთო. არა. თვით შემუშავება ამ მადნეულობისა აქვე უნდა დამუშავდეს. ყოველნაირი მადნეული იარაღი და მოწყობილობა აქვე უნდა კეთდებოდეს, რომ აქვე აყვავდეს მადნეულობის გადაღობა და გადაკეთება იარაღებით და ამითა შიგ კავკასიაში დატრიალდეს დიდა ფულიო. მაგრამ ამისთვის საჭიროა ადგილობრივად მოეშაღონ მალალ

ტექნიკურ სასწავლებელში სამთო ინჟინრები და უმაღლესად განათლებული მიწის მომუშავენი და სამეურნეო მრეწველობაში განვითარებული კაცებო. ჩვენი კავკასიის ქვეყანა ბუნებით და ცხოვრებით ისეთი თავისებურია, რომ სხვა ქვეყნის კაცი, სხვაგან განათლებული ვერას გააკრავს, თუ ადგილობრივი გარემოებაც წარმოებას ზედმიწევნით არ აქვს შესწავლულიო. რაც ითქვა სამთო წარმოებაზე, იგივე უნდა ითქვას სამეურნეო წარმოებაზედაცო. აი, ამისთვის საჭიროა უმაღლესი პოლიტექნიკური სასწავლებლის დაარსება სამეურნეო და სამთო განყოფილებითო. ამ შემთხვევაში ტფილისის ქალაქის წარჩინადგენელთა სურვილი და მთელი კავკასიის ერთა სურვილი ერთიაო. ყველანი დიდი მოწადინებულნი არიან, რომ მთავრობამ ნება დაგვრთოს ასეთი სასწავლებლის გასაჩვენო. თავის მხრით ტფილისის ქალაქისწირავს ასი ათას მანეთს და ორას დესეტინა ადგილს, ბენდიერათაც ჩათვლის თავის თავს, თუ მთავრობა ინებებს მისი თხოვნის ასრულებასაო.

* *

„ეკლისი“ რედაქციამ მიიღო ოცდახუთი მან. ლანჩხუთში გამართული საქველ-მოქმედო წარმადგენიდან საზღვარ გარეთელ მოწაფის გადასაცემად.



სიტყვა თქმული ლექსად

კონსტანტინეპოლის კათოლიკე მონასტერიში

იასე რაჭველისაგან

ასად წელს 1889-ს

„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარდა თავი თვისის“

I.



იღ-არს უფალი, დიდ-არს ეს სიტყა რის აღსრულებაც ვალად გმეცხს ჩვენი; კაცობრიობას ამეცხს ეს ვალი, რაც თვით უფალმა ცხადად გვაჩვენა.

თვითონვე ბრძანებს, ვერ ვახონებთო მარტო იძახთო, ღმერთი უფალი, არამედ საქმე საჭიროებსო, რომ აღასრულოთ თქვენი თქვენი ვალი,

მაგრამ ამ წმინდა მოვალეობას კარგათ დეფიქრდით, რა აქვს საზღვარი, თუ რომ საშობლოს კეთილ-ღღეობას არ აღეგება წმინდა ტაძარი.

მისი გულისთვის მისმა შობილმან არ უნდა ზოგას თავის სიცოცხლე. იმ რიგი შეილი ნუ ჰგზოს მშობელმან, ვინც ეს სიწმინდე გულს არ იახლე.

თუმც რომ კაცს მისი დედა საშობლო პირველი დედად გულს არ დებია, იმას ეს წმიდა უფლის ბრძანება, ვთიცავ, სრულებით დაიწყებია.

ღღეს ჩვენ გველისა ახალი წელი რამაც ჩვენ უნდა დაგვიმედოს, საშობლოს, ცეცხლი იგი დამწველი, ჩვენც გულში ალად უნდა მოგვეღოს.



მე ერთხელ მეუფეს გულ-მოღვინებით, მრავალს დაგასწორას ახალსა წელსა, მისი წყალობით და განმინებით რომ გამარჯვოდეს ჩვენს წინამძღოლსა

II

უფალმა მისი უხვი წყალობა, დღეს მოგვანიჭა ყველას ერთობით, მთელი ეს ჩვენი პატარა კრება, ედღესასწაულობთ ურთიერთობით.

დღემდის ჩვენ ყველა ღმერთმა დაგვფარა, აწცემ იმედად იგივე გვიფარა; ყველასა გვმართებს ევედროთ, თუარა რომ გავარისხოთ, ვინაა მოგვიფაროს.

ღმერთის ედღებთან საქმეც გვჭირია, საქმესთან ხომ მის სიყვარულიცა

მტკიცე მცნებაა, ყველას გვეჭირია, ამას გვიმტკიცებს ჯვარზე ცხოვლიცა.

თუ რომ ერთმანეთს ჩვენ შევიძულებთ, ჩანს, რომ ღმერთის მცნება დაგვირღვევია, ძმას თუ ვერ ვგვყვარობთ, რჯულის არ ვასრულებთ, მერწმუნე ღმერთიც არ გვწამებია.

არ დაიფიწყოთ, რომ ეს ყოველი, ჩემს გულს წინ გიშლისთ ღმობიერებით. გულის სიწმინდე ჩემი ცხოველი სამშობლოს ტირის ცხარი ცრემლებით.

ვეცადოთ, ძმანო, რომ მივქმსავსოთ, კაცსა, სახლისა ქვაზე დადგმდგმელსა, გთხოვთ ძმანო ყველას, რომ ლოცვა უძღვნიათ მწირსა ობოლსა ამის დამწერსა.



აბრეშუსის მოსავალი და ჩარჩები ხონში

წათაც გავიქეცი, იქით წაიქეციოცა, — ამბობს ჩვენი ძველი ანდაზა, რომელიც ხშირად ცხოვრებაში თვალ-წინ გვიდგება, თავის დანიშნულებას ასრულებს და ჩვენ მომაკვდინევი კი ვერ აცილებდებიართ მის წყალობას. ყოველ ცისმარად დღეს ისმის ჩივილი, წუხილი, გოდება, ესა და ეს პირნახული არ მოვიდა, გავიზრდა და სხვა. როცა კი რომელიმე მოსავალი უნებად მოგვივა, მაშინაც ვთქვით, უი და გოდება ისმის ჩვენგან. თუ ის, რაც ჩვენ ხელში შეგვჩრჩება სხვა-და-სხვა საქიროებისათვის, ღირებულ ფასად ვერ გავასაღეთ — ფულად ვერ ვაქციეთ, შემდეგ ვაფიქსიბით, აი, ეს არ გაიყიდა, აი, ამას ფასი არ აქვს და სხვა. ზემოთ მოყვანილი ანდაზა ზედ-გამოჭირილია ამისთანა ჩვენს ორ-გვარ ცდასა და კარგს მდგომარეობაზე, მოსავალი მხრით. თუ კარგი მოსავალი არ მოგვივიდა, მაშინ რაღა თქმა უნდა, წაქეციული ვართ; თუ მოგვივიდა და ვერ გავასაღეთ ღირებულად ჩვენი ნაჯაფ-ნაოფლარი, მაშინაც თუ წაქეციული არა, აბა, რაღა ვართ? ასეთ დღეში ჩავარდა წრეფულს ხონსა და მის მახლობელ სოფლებში აბრეშუმის კარგი — უხვი მოსავალი.

აბრეშუმის მოყვანისათვის ხონსა და მის გარშემო მახლობელი სოფლები ერთი საუკეთესო ნადაგია. აქ უზრალო კაცის ხელის შეწყობით ძველებურ მოყვლა-გამოკვებით ბუნება უხვად იძლევა აბრეშუმს.

აბრეშუმი რომ არ დაეჯინოს, თითქმის იმისთანა ოჯახი არ იქნება. სოფლებს: ხონს, მთხოჯს, საწულეკიძოში, კონტუთაში, კუხში, გუბში, ჯინაიშსა და სხვა. ეს საქმე აქ შრომის განაწილებით, თუ ჩვეულებით გადმოცემული, ქალებისათვის მიუსაკუთრებიათ. აბრეშუმის მოყვანა მარტო ქალების საქმედ მიაჩნიათ. „რა ჩვენი საქმეა, ეს ქალის საქმეა“ — გაიგონებთ მამაკაცებისაგან. წრეფულს კი, როგორც ვაგივე, მამაკაცებსაც მიუღიათ აბრეშუმის მოყვანაში მონაწილეობა, თუმცა კი ცოტა რიცხვს, მაგრამ ბედმა პირველადვე უმტყუნა ამ ახლად გამოსულ ქალების მოქიშპევებს. ისეთი წარსული წელში აბრეშუმის კარგი ფასის გამო გათამამებულნი შედგამიან წრეფულს აბრეშუმის მოყვანას, რომლის გამო სხვა საოჯახო საქმეები უკან ჩამოუყენებიათ. ჯაფისა და გარჯის შესაფერი მოსავალი მშრომელ ბედმა არგუნა, მაგრამ მათდა საუბედურათ მოულოდნელმა ღობე-ყორეს ამომდგარმა გარემოებამ, ფასის სიცოტავედ ათას გვარ იმედებზე ხელი ააღებინა.

ამისთანა დღეშია დღეს ხონსა და მის გარემო სოფლებში ძვირფასის აბრეშუმის მოსელის ბედი. ის ჩარჩებს ჩაუგდიათ ხელში, და როგორც მათ სულსა და გულს სუთთ, ისე ატრიალებენ ამის ბედს. უნდათ მიცემენ ღირებულის ნაწილს ფასს, უნდათ ნაწილზედც ჩამოუტკმებენ. ურიებიც მოდიან აქ აბრეშუმის სასყიდლად, სომეხი ვაჭრებიც ყიდულობენ უფრო პარკად და თითონ იღებენ ძაფს; ურიები კი ამოღებულ ძაფს ყიდულობენ. სომეხ ვაჭრებს ეს ორი

სამი წელწადია, რაც ხონში აბრეშუმის თესლის გა-
 •ერტყვება დაუწყებთ ფასად და უფსოსდაც. უფსოსად
 აი, როგორ: ამ ეპებტონანებს ეითომ გულკეთებლობა-
 ბის სარკვეში ჩაუხედავთ და შეუძლებელ მეაბრეშუმე-
 მისათვის თესლი მიუციათ იმ პირობით კი, რომ
 მოსავალი ნახევარი ბ-ნ ეაქრის უნდა იქნეს და ნა-
 ხევარი ორი თვის განმავლობაში წყა-დაგვით შშრო-
 მელისა. ამ გაცეალულ გზას აწივ დადგებიან უთუოდ.
 ასე ამ გვარად გულ-კეთილი ეაქარი ორი სამი მანე-
 თის მაგიერად, ორი თვის განმავლობაში ოცს და
 ოცდაათს მანეთს უკრავს თავს მის პირ-გახეულს და
 ძირგამარებულ ჯიშაში.

როგორც გავიგე, შარშან 40—45 კაბ. იყიდებო-
 და გირეანქა აბრეშუმის პარკი—წრეთუს კი გარე-
 •შე და შინაურ ჩარჩების წყალობით 15—20 კაპიკს
 არ აცილებია. რისთვის, რა იყო ამის მიზეზი? შეკი-
 თხულნი გარეშე ეაქებტონანებისაგან ამ პასუხს ლე-
 ბულობდენ: აბრეშუმს ვასავალი არ აქვს, —ფსი და-
 ვირადა, ოქროს ფასმა დაიწვია და სხვა. შინაურ გა-
 ძვერებმაჲც ხელი მოითბეს ცოტა თუ კარგი მოზღი-
 ლი სარგებლობით და ამითი ყირამალა ვადაატრი-
 ალეს აბრეშუმის წრეცანდელი მოსავალი. სოფლე-
 შში დაიწვეს თუ არა ცახებიდან პარკის გამოჩრევა,
 გასუნაგებული აქაური მეღები მოედვენ სოფლებს
 გერ მოიკითხეს: აბა, რამდენი მოსავალიაო და, რო-
 •ცა შეკრბების ცნობები, ამ გულ-კეთილმა რევიზო-
 რებმა ჩაულაპარაკეს მათ არებს: გაჩრდიით,
 ფასს ნუ აწევთ, შარშან, რომ 40—45 კაბ. მივეცი,
 ახლა იმის მაგიერად 15-ათ ვიყიდოთ, რაც მოსაწო-
 ნია. ამითაც სინარულით გულზე ხელი და-
 იბრაგუნეს და იუდა მოციქულებს ქება-დიდება შე-
 ახსნეს „ბარაქალაო“ და ამას გარდა ეგრცხელი ჩაუჩ-
 ხრიალეს ჯიშეში. გულ-ხარბია რევიზორებს, რომ
 უფრო კარგად დავმსახურებიათ სახენი მოწვებ ობისა
 თაჲიანთ მუფუფების თვალში, სოფლებში ხმა გააგრო-
 ცელეს. ის ეაქრებისაგან მოყიდული აბრეშუმის
 თესლი იმ გვარი თვისებისაა, რომ ძაჲს კარგად ვერ
 ამოიღებთო. არც გეინდა თქვენი ამოღებული ძაჲთი.
 ჩენი მაშინები კარგად მოწყობილია და უფრო კა-
 რგად ამოიღებსო. ამ გვარ ქადაგებამ გასჭრა და იმ-
 თაჲან წაიყ თესლიდან მოყეანილ პარკს, ვისაც კი
 რამე მოქძეოდა, ხონში მიამაწაწალდებდა. ამ ნაირად
 ეს საზოგადოების ძვირფასი სიმდიდრე ხელში უფარ-
 დება მცარცელებს, რომელნიც უმექიშვით დარ-
 ჩინებლნი გაიძახიან, ფასი არ აქვს და სხვა. მაგონდ-
 ბა ერთი შემთხვევა: ზესტაფონს იყო შეიქქის სა-
 ზღვარ გარეთ გამგზავნი ეაქარი ლინბერკერი. რო-
 •ცა ფუთ შექქავზე თურმე 30—40 კაბ. გებუ-
 ლობდა, ტირილს და ვაი უის მოაუმატა, რომ შეეცი-

თხით: რა ამბავია, რა დაგემართა, რისთვის სწუხა-
 რთო? მან გვიპასუხა: შეიქქის ფასება საზღვარგარეთ
 სრულიად დადარდა და ძალიან ბევრს ეიზარალებო
 და სხვა. რამდენსამე ხანს შემდეგ გავიგეთ, რომ ეს
 ტირილი ჩენი თვალების ახვევა, ჩენი სატირალი
 ყოფილა და მისთვის კი სინარულის ისტერიკული
 ცრემლები. ასე უხეგვენ თვალს, ვინც ეაქრების დაე-
 თრების, მათი სახარების და ჯიშის თავი და ბოლო
 არ იცის. ამ გვარად ამ ძვირფასი მოსავლით სხვა სარ-
 გებლობს და მწარმოებელი მომყეანი კი ვერა, ბევრს
 გული გაუტყდა და ლაპარაკობენ, რათ მინდა, რომ
 აბრეშუმის მოყეანისთვის ვიწროიყო, თუ ფასი არ ქ-
 ნებოა. იმისთვის წელს რაეა გავიტებ, ბეოლებს
 (თუთის ხეებს) მაინც არ გავაოხრებო. უნდა ელო
 ნოს რამე ამ საქმეს და ამ გვარ სხვა საქმეებსაც, მა-
 გრამ ლინება თვით საზოგადოებაზეა დამოკიდებული
 მისი სწავლული შეიღების თაოსნობით. ერთი ეი-
 კითხობთ: თვლითში სააბრეშუმე (ტანცია) სადგუ-
 რი რა მიზნისათვის დაარსეს და რილასთვის წვეენ
 აუთარებელ ხარჯს, თუ წარმოებას არ დაეხმარება
 და წარმოების გასაღების საშეალებას არ აღმოუ-
 ჩენენ მწარმოებელს?

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ აბრეშუმის
 მოვლა-მოყეანის გაკეთებ-ვასაღების დაარსება შეიძლე-
 •ბა, რასაკვირველია, პატროსან დაუღალავე გულწრ-
 ფულ შრომას შემდეგ, რომელიც ადგილი წარმო-
 ხადდენია, რომ საჭიროცაა და დიდ საარგებლობასაც
 მოუტანს საზოგადებას. საზოგადოების შედგენას,
 რა ფორმა, რა წესები, რა საფუძველი უნდა ჰქონდეს,
 ამის გამოჩრევა იმ საზოგადოების ნაწილს ეკუთვნის,
 რომელსაც საზოგადოების ჯაჲით და ოფლით სწა-
 ევლა მიუღია და იმის პირ-და-პირი ვალდებულე-
 ბაა ამ გვარ საქმეს თავში დაუდგეს და შეძლების
 დაეგარად გაუძღვეს, საზოგადოებისვე სასარგებლოდ-
 საზოგადოების უნდა ექმნეს მიზნათ შეიძინოს
 ნიუცილებლად, როგორც ძაჲსი (გასაკეთებლად) ამო-
 საღებდა მაშინები, აგრეთვე სხვა ამის საჭირო მოწყო-
 ბილობაც. ახლა, რომ ძაჲს აკეთებენ, ის გამოუყენე-
 ბელია, უფარვისა ფაბრიკისათვის, რადან ეკირტანი
 და უსწორ-მასწაროთ არის ამოღებული, უხეც საწყო-
 ბოდ, რომელზედაც შრომა ტუთილით იკარგება. სა-
 ზოგადოება გააერცელებს ხალხში მოვლა-გამოყე-
 •ბის წესს და სხვა. საზოგადოება შეიძლება პაების
 გამოცემით დაარსდეს, რომლის წევრებდაც როგორც
 მამაკაცები, რასაკვირველია, ისე დედაკაცებიც უნდა
 იყენ. საზოგადოებას უნდა ჰქაედეს თავისი აგენტო
 საზღვარგარეთ. განსაკუთრებით ლიონში და ამან თა-
 ვის ღროზე გზავნოს, თუ რა ფასები აქვს საზღვარ-
 გარეთ აბრეშუმსა და სხვა.

აქ, არ არის საჭირო გავიერცლოთ მასზე ლაპარაკი, თუ რა წესებზე და საფუძველზე უნდა იქნეს აწინებულო აბრეშუმის მწარმოებელი საზოგადოება. როცა მონადირეებულნი გულ-მოდგინეთ შეუღლებიან ამ საგნის გამოარკვევას, უთუთო მაშინ ნათლად დაინახებენ, რა წესის და რა ფორმის საზოგადოების დაარსების საშუალება იქნება შესაძლებელი. საქმე ისაა, ახლა მიყურებულ საზოგადოების წრიდან გამოვიდენ მშრომელნი და ნიადავს იქვე საზოგადოებაში იპოვიან სამოღვაწოს.

გურიაშიაც ძალიან კარგი და ბლომად მოდის აბრეშუმი. უთუოდ საზოგადოების დაარსების საქმეში ისინიც მიიღებენ მონაწილეობას. გურიაში ამ აზრის

განხორციელება უფრო საადილოდ მიგვიჩნია იქაური ხალხის მასწავლებლების და ახალგაზრდობის თავეამოძებული შრომის იმედით, რომელიც არა ერთხელ დაუმტკიცებიათ.

უკანასკნელად ვისურვებ ეს ხმა არ დარჩენილიყოს ხმად მღალადებულად უდაბნოსა შინა, არამედ საბედნიეროდ დაგვირგვინებულოყოს და მით გამოართმოდეს ხელიდან იარაღი სულო-შემსუთთვე ჩარჩევატარნებს.

ი. კუხელი

ს, კუხი
ივლის 6

საკრამატოკო კვლევა.

(დასასრული *)

სიმონიძე და სხვები თავიანთ საკრამატოკო წერილების ყოველ სტრიქონში ურევენ ხოლმე ასოებზე ლაპარაკს. ის კი არ იცან, რომ, როდესაც ენის შესახებ ვეზასობთ, იქ ასოები ჩვენთვის არ არსებობს, რადგანაც ენა ბეგრათა მასალით არის შემადგარი და არა ასოებითა. სამეცნიერო საგანზე სუბაბასში ასეთი არევე-დარევე ასოთა და ბეგრათა შორის მტკნარ უმეცრებასა ნიშნავს.

ღრო არის, მკონი, ბატონებო, შევიგნოთ, „უხმო რას ნიშნავს და „თანახმოვანი“—რასა? ბეგრა რა არის, ხმა რა არის და ხმოვანი რა?

ბ-ნი სიმონიძე ამ ტერმინებს ერთი ერთმანეთში ურეებს და ამასთან ყველგან ხმარობს ასეთ შესაბამო ტერმინს: უხმო ხმები, ნაცულად ტერმინისა „თანახმოვანი“ (согласный звук—თანახმოვანი ბეგრა).

თუ ხმა არის, უხმო რაღა ჯანდაბა იქნება, თუ აუტორი რაღაც „უხმო“—ზე გველაპარაკება, მაშ ავი ხმა რაღად იქნება? აქაც, მკონი, საოხუჯო გასართობი გამოდის.

აგრედლე ვანა თითონ არ იცის ბ-ნი სიმონიძემ, რომ ქართული სიტყვა „ხმა“ უდრის რუსულს „голос“ და ამიტომ კეთილ-ხმიანი იქნება „хороший голосный“ და არა „благозвучный“, რომელსაც უდრის ქართული კეთილ-ხმოვანი: აქედან—კეთილ-ხმოვანება და არა კეთილ-ხმიანობა, როგორც

ბძანებს ზოგან ბ-ნი სიმონიძე. ერთ ადგილას ბ-ნმა სიმონიძემ აკაცისაც-კი მოახვია თავს ამისთანა შესაბამო ტერმინი მაშინ, როდესაც პოეტს კანონიერად აქვს იგი ნახმარი

„სუნებით ქართული ენა ისეთი კეთილ-ხმოვანია, ისე ამშვენიერებს მას ხმოვანი დაბოლოებანი ყოველგვარი სახელებისა, ნახ-ხმიანი (?) ასოები (?): გ, ჰ, თ, ფ, ქ, ძ, რომ კეთილ-ხმოვანებით ეერც ერთი ენა ეერ აჯობებდა, თუ (?) რომ მას არ აზიანებდეს ამ მხრივ ხახის ორი ასო (?): ყ და ჯ.... (?) აქ სწორედ ერთი გოდორი უეცობა გავეიზიარა აეტრომა.

რა არის ასო?—ასო არის მოხაზულობა, ანუ ნიშანი ბეგრისა. მაშ ნახ-ხმიანი მოხაზულობა, ანუ ნახ-ხმიანი ნიშანი, ანუ იგივე ნახ-ხმიანი ასო, როგორც ხმარობს ბ-ნი სიმონიძე—რაღა იქნება, თუ არა—ბოდვა სიცხე მიცემულისა?

ამასთან, როგორ უნდა გამოვიცნათ, რა იქნება „ხახის ასო“ ბ-ნი სიმონიძისა? ნეტა ეიცოდეთ, სარსკის საშუალებით დავინახეთ „ხახის ასო“?!..

ფონეტიკაში ჩვენ არ შეგვხვედრია ამისთანა ტერმინი: „ნახ-ხმიანი ასოები“ (?)

ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოდ ბეგრები ფონეტიკაში განიყოფებიან სამ ნაწილად: მგვარნი, ლბილნი და ფშენიეთნი.

მაგალითებისთვის მივმართოთ ქართულ თანახმოვან ბეგრათა აწმანს:

მგვარნი: გ-ბ-დ-ლ-ზ-ქ
 ლბილნი: ჯ-პ-ტ-ხ-ს-შ
 ფშენიეთნი: ქ-ფ-თ-ჰ

სინი: } დაფტონებები: ჯ = $\frac{d}{2}$ ჰ, ძ = $\frac{d}{2}$ ზ, ყ = $\frac{g}{2}$ ლ, ჯ = $\frac{j}{2}$ ხ.
 მგვარნი: } ფრიფტონებები: წ = $\frac{d+t}{2}$ ს, კ = $\frac{d+t}{2}$ შ.

დამერწმუნეთ, ბ-ნო სიმონიძე, რომელი განყოფილების ბეგრაც გნებავთ, შეგიძლიანთ იგი გამოსთქვათ ნაზათაჲ და ბოზათაჲ. ყოველივე ეს თქვენ ხმაზე, ავტულობაზე და გულის სიწყნარე-სიმედიდებულად ჰქილია და არა თვით ბეგრათა ხასიათზე.

აი, კიდევ უცნაურობა!.. საღ გავაზილა და ეის ამოუკითხავს როდისმე ფონეტიკიდან ვარდა ბ-ნ სიმონიძისა, რომ „ჯ“ ხაზის დახმარებით სწარმოებდეს?

მკითხველი, უეჭველია, მიაქცევს ყურადღებას, თუ რომელ და რომელ განყოფილებიდან ამოუკრეფია ბ. სიმონიძეს ბეგრები (გ, ჰ, თ, ფ, ქ, ძ) და თავზე წაუწერია; „ნაზხმანი ასაობი,“ არ ეციტ, რა მიხვებით განრისხებია ავტორი ორ ბეგრას, „ყ და ჯ“ და უცნია იგინი ენის მიზანძრავს.

მაშინ როდესაც აფრიკატს „ჯ“ ერთკვარი წარმოება აქვს დანარჩენ ქართულ აფრიკატებთან (აფფრიკატი): ჯ = დ/2 ქ, ძ = დ/2 ზ, წ = დ/2 ც (ანუ $\frac{d}{2} \times \frac{c}{s}$ რადგანაც $c = \frac{t}{2} s$), ჰ = დ/2 ჩ (ანუ $\frac{d}{2} \times \frac{t}{r}$ რადგანაც $r = \frac{t}{2} შ$).

აქ ჩვენ შემთხვევა გვექცევა მოკლედ მოვილაპარაკოთ მკითხველებთან ქართულ თანახმოვან ბეგრათა შესახებ.

„მოამბე“-ში დაბეჭდილ წერილში („ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა“) სხვათა შორის ვამოხბობთ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვსთ ხმოვანთა ქართულ ენაში. ამასთან ისიც აღვნიშნეთ იქვე, რომ შეცვლა ხმოვანისა აძლევს ხოლომე სხვა და-სხვა კილოს სიტყვის დედა-აზრს:

კმ-წერე } ვუ-წერე
 ვა-წერე } ვე-წერე და სხვები...
 ვი-წერე

სწორედ ასეთივე როლი აქვსთ ზოგ შემთხვევაში დაკისრებული ბუნებისაგან თანახმოვანთაც ქართულ ენაში და ამიტომ არა გგვანია, რომ რომელიმე მათგანი იყოს ენის მიზანძრელო. შეცვლა თანახმოვანთა სხვა-და-სხვა კილოს აძლევს ხოლომე აგრედვე სიტყვის დედა-აზრს:

ლაკლაკი — тарачение глазъ.
 ლაქლაქი — болтать (языкомъ).
 ლახლახი — переваливаться
 ლაყლაყი — болтать жидкости.
 ბრაილებს — (пламя) хлещетъ
 პრაილებს — блестять (отпалированная поверхность)

ფრაილებს — развѣивается.

აი, კიდევ მესამე მაგალითი ქართულში თანახმოვანთა თავისებური შეცვლა-გადაცვლისა:

გრაილი — шумъ, происходящій вѣнъ.
 ღრაილი — крикъ, вырывающійся изъ устъ.
 ხრაილი — хрипѣть.
 ყრაილი — бурчаніе въ животѣ. *)

თვით მაგალითები იმისთვის ავალაპარაკეთ, რომ მოკლედ დავეყვანებინა ბ-ნ სიმონიძისათვის, რომ ქართულში არც ერთი თანახმოვანი არც მაზიანებელია ენისა და არც მეტად ჩასათვლელი. ჩვენ გვეყრა, რომ ავტორის მიერ გამოქვეყნებული გულ-მტკივნეულობა ენის გაუმჯობესობისთვის გამოწვეულია კეთილი განზრახვით, მაგრამ ისიც გვეყრა, რომ უეცრობითა და მოუშვადებლობით ფონს ვერ გავაქაცო.

ამაზე შეეჩრდებით ჯერ-ჯერობით და მიექცეთ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ერთ ადგილზე, საცა ავტორი ამ გვარად ფილოსოფიობს: ჩვენ ძლიერ ლიტერის ვართ ნათელის აზრითა, მიმართულებითა, გარკვეული მიზნით. (უმთარესი დაგვიწყდეთ - ცოდნით, ცოდნით!) ჩვენი ენა კიდევ ქართლობს, ხოლო თავი კი ცალიერობს (sic).

ამის გამო ჩვენი ლიტერატურა წყალ წყალალობით შექმანდს მოგვარებთ, რომელშიაც ლობიოს მარცალი თითო სათაობით უნდა ეცხობთ. კალმის ას ნაწარმოებში ოთხმოც-და-ცამეტ უთუბოლო უმედობა და სხვა არაფერი. * ნეტა რას ფიქრობდა ავტორი თავის წერილებზე მაშინ, როდესაც თხზავდა ამ მარგალიტებს? თუ იგი დარწმუნებული იყო, რომ მესამე მწარმოებელი თვითონ ბანდებდა, მაშინ თავის წერილების თავზე უსათოდ უნდა წაეწერა ასე: „ბ-ნი სიმონიძე, ანუ ქართული ლიტერატურა, ქართული ლიტერატურა ანუ ბ-ნი სიმონიძე.“

ახლ თუ თავის თავს სთვლიდა იმ ოთხმოც-და-ცამეტში, მაშინ ნება გვაქვს „გარადავოცებს“ პოლიციაში წაუყვანოთ „ივერია“ მკითხველების წვლებისთვის

ასე თუ იც, მკითხველები მაინც გამოიკნობენ ბ-ნ სიმონიძის წერილები წყალ-წყალალობითა შექმანდს მოგვარებებს, თუ სურნელებით შეზავებულ კირაკეს!..

ა. დოდაშვილი

*) ურიულმაგ შეკვლავით ასეთი თავისებურ შეცვლა-გადაცვლა თანახმოვანთა, მაგალითად:

რეს — запереть { სშ — черпать
 რეს — захвуть { ჭაშ — вдыхать
 (შტინიერგის თსუელებს).

ურიული შრიფტი კერ ომოკა რქაქცია და ამისთვის ქართულის ასოებით წერეთ „სიტუქებს, ამასთან აღსანიშნავია, რომ ურიულში მარჯვიდან ნარცხნივ ეგითყება.

ავტორი



ბეჭდის დადგენა.

ბეჭდის

W. H. MERRILL

გემის დაღუპვა

(გვლარსქინელის ნაშრობი)

V

(დასარული *)



მ დროს გაისმა ზღვაში ჩაცვენილთ
დამაშვრალთა ხმა, სულის მსუთაე:
უცხო გემიდან მოსაშველებლად
იხილეს იმით ორიოდ ნაეი.

თუმც გვიან, მაგრამ მაინც გამოჩნდნ
ტანჯულთ ნუგეზად უსწოვლები.
მათზე რა გვეთქმის, რომ საკუთარიც
მტრებათ გაგვიჩნდნ ჩვენი მცველები?..
უკანასკნელნი თავს იმართლებენ,
მიზეზს ამბობენ სხვასა და სხვასა,
მაგრამ რა ეთქმისთ?— თვით თავს უშველეს,
ჩვენ კი უწყალოდ მიგვიანდეს ზღვასა.

ესეც ევრა ქნეს: ხალსს ევრ აუხსნეს,
როგორ უნდადა ხმარება „სარტყლებს“.
ლონიერებს ხელათ ისინი ძალოთ,
მათაც მუცელზე მიეკრათ საწყლებს.

და როს მშველელნი მივიდნ მათთან
სიცოცხლის მათის იმედებულნი,
ჩამხჩვალი ნახეს ყველა ერთობით,
თავითა ზღვაში ჩაკიდებულნი.

უსწოვლებიც თავს იმართლებენ,
იმათაც თურმე დაუზიანდათ
გემი და ერთხანს იმას მოაუნდენ,
მით ჩვენი შველა დაუგვიანდათ...

მაგრამ ყველა ეს თავისუფლება
რასღა უშველის საწყალ დამხჩვლებს?
რით ანუგეშებს მათ ჭირისუფალოთ?
ეთლა შეაშრობს ცრემლსა მათ თვალებს?

რაღ მოხდა, მოხდა... და როს ცოცხლებმა
იხილეს ნაეი, მათკენ მავალი,
მყის იღრიალეს: „გვიშველენ, აქეთ“.—
ყვიროდა ვაჟი, ყვიროდა ქალი,

მე ჩემთვის ვიყავ, ხმას ვერ ვიღებდი,
ცრემლები ყელში მეგუბებოდა..
შვილს დაეკვირდი,—მთელი სხეული
უძაბავებდა, გაღურჯებოდა.

მივიკარ მკერდზე ის, ცოცხალ-მკედარი,
გაცივებული, ყბა-ქილი შერკული,
და გავიხედ ნაწიბისკენ:
შველას ველოდი უხმოდ ზედკრული.

მაგრამ, ჩნდა, ჩემთვის მათ არ ეცალათ,
მრავალს სჭიროდა ჩემამდი შველა,
და მატროსებმა, ეისაც კი მისწედნ,
ლონიერ ხელით დაიხსნეს ყველა.
ჩაისვეს ნაეში ვილაღ ქალები,
ბერიკაცები და ყმაწვილები,
ცოლი და ქმარი, ძაღლის პატრონი,
მოხუცი მამა, მისი შვილები.

გაავსეს ნაეი—და გემისაკენ
წაიღეს იმათ მომავადები...
მაგრამ, ოხ, ღმერთო! უშველეთ ტანჯულთ,
იწამეთ ქრისტე, აქეთ ნაეები!..

აი, ვაჟკაცი, მე რომ ხელი მკრეს
და არ მიმიშვეს,— აი, ის ორი.
წყალსა ებრძვიან, ხელს ძლიეს ანძრევენ,
და შორს თავისთვის ცურავს ნამორი.

რა მოუვიდათ? თუ წაიციდნ,
ადგილი უნდა გამოეცალათ.
აღარ დაუთმეს უროტოს, და ჩხუბში
ნამორი ხელში გამოეცალათ?..

ან ეგებ, ნაეი რომ დანიანეს,
ყველაზე უწინ მისწრება სურდათ,
ნამორს მოცილდენ— და უბედურთა
იქაც იმედი გამოუცრუვდათ?

ღმერთო, უშველენ!.. მაგრამ რას ეხედეთ?
საცოდადებმა ვერ უძღეს ჭირსა,
ამო იყო ყოველივე ცლა,
და თითქმის ერთად წაიციდნ ძირსა.

აგერ, ჩემს გვერდით, ერთი მეორეს
მკლავში ქვასავით ჩაკეტიბა:
„შენ ცურვა იცი, ლონიერიც ხარ
და მიშველეო“; ჩაკეტიბა.

ის ეუბნება: „ხელი გაშიშვი,
თარა ორივე დაეიხჩევიბითო“.
ეს უპასუხებს: „არ მოვცილდები,
აქვე ჩამქოლო თუ გინდ ქებბითო“.

ჩაყვინთა იმან: აღბად, ღრმა წყალში
მოეიშორებო, ეს განიზრახა;
მაგრამ თან ჩაყვა ესეც, და შემდეგ
თვალმა ევრც ერთი ვერ დანიანა...

აი, დაცურავს აგერ საწყალი
ძალი, წყაწყკობს, ყვეს გამწარებით:
პატრონი იხსნა, თვით დაქანცულია..
როგორ გადარჩეს, რა საშვალბით?

ხან ერთთან მიდის, ხან მეორესთან,
ყუფით, წუწყუნით შველას თხოულობს;
მაგრამ ძაღლისთვის ვინდა სცალოა,
ადამიანიც ხსნას ვერ პოულობს!..

დაკარგა იმან კაცის იმედი
და სიცოცხლის გზა თვით გაიჩინა:

*) იხილეთ „კვლი“ № 37.

გემთან მიცურა, კიბე იპოვა,
 ძლივს შეხტა, თავი გადაიჩინა!
 ერთიც-ღა მახსოვს. უკანასკნელი
 გულზე მიკრული ყავდა ქალს ჩილი;
 ღონე მიხდოდა, მაგრამ იბრძოდა
 ვერ გაეწირა საბრალის შვილი.
 მალე შეენიშნენ მისკენ წაიდა,
 მიუხელოვდა სისწრაფით ნაფი,
 უცებ გაშეშდა დედა დედინში,
 წყალმა დაუარა მსწრაფელი ბედში.
 ეს დაინახე—ღა დაეცივლე
 შვილის სიმწარით გაკლავებულმა:
 მას შეეძარე თვით ჩემი ბედი
 და გადავიქცე, მისუსტა გულმა...
 გონს გეშეშე მოველ, ცოცხალი ენახე
 საგანიც ჩემის სიყვარულისა,
 და ნაკადულად თვალიდან მყისვე

გაღმომსკდა ცრემლი სიხარულისა;
 დედა და შვილიც გადაიჩინილი
 იქ დაინახე—ღა გავიხარე,
 და საცოდავთან ერთად მეც დიდხანს
 უფლის დიდებით ცრემლები ვღვარე...
 როგორ გამოეთქვა, რაც მე იმ ღამეს
 გამოვიარე ტანჯვა, წამება?!
 რაკა ვთქვი, მიკვირს—ვითა შევიძელ,
 მის თქმითაც ენა რათ არ დამება?!
 ახლაც კი მტანჯავს, რაც მაშინ ენახე,
 ცხადად სულ თვალწინ ის მეჩვენება,
 შიშით და ძრწოლით მოველი ღამეს:
 ძილშიც არა მაქვს მით მოსვენება.

ს. ლავროვი

სოფ. სხვაჯა (რაჭაში)
 25 აგვისტოდან 6 აგვისტოს შუა, 1894 წ.

ქართველი გლეხის-შვილი

(„ახელა“—მოთხრობა ნ. მეღანასი, 1891 წ.)

IV

ნებლა, რომლის სახელი დერქვა თვით
 მოთხრობასაც, სულ წინაპირველად, სა-
 ნამ ყანაღად გავარდებოდა, იყო ერთი პა-
 ტიოსანი და მშრომელი ანაღაზდა გლეხის შვილი
 და ეძახოდნენ ილას. ოთხისა, თუ ხუთისა წლის ბა-
 ეში დარჩა მამას და იზრდებოდა დარბიბს, მეტად
 გვიმოკლე დედის ამარა ერთს პატარა წწულს სა-
 ხლში. დიდი ეთა-ევაგახითა და მწკრე ოვლით დე-
 და ერთ ლუკმა პურს აპყემდა თავის თასაც და
 ობოლსაც. მაგრამ მოჯამაგირეთ მიწიც არაეის და-
 უყენა თავისი შვილი. მშრომელი დედისაგან შეი-
 ლი შეეჩეია „შრომა ტანჯავს“, მართლის თქმას,
 პატისანს ყოფაქცევს, როგორც კი შესა-
 ძლებელია, საზოგადოდ, სოფლად გლეხკაცთა
 შორის. რასაკვირვებია, აქვე საშინელი უმცირება
 და ათასი გვარი ამაომორქმუნებოდა აწოვებს თავის
 ძუძუს საწყალობელს გლეხის შვილს... ამ გვარად,
 დედის პირადა ცხოვრების მაგალითი და დარბი
 ოჯახი—არის აქვანი, რომელშიაც პატარაობ-დანვე
 იწრთენება და იზრდება ჩემი ილას გრძნობა და ყო-
 ფაქტეა...

მკითხველის ყურადღების მისაქცევად მოთარო-
 ბიდან ამოვიღებთ სწორედ იმ ადგილს, საიდანაც
 დარქმუნდება, რომ ბუნება ხშირად და ძალიან ხში-
 რადღე ახალგაზრდობისავე დაუტევს კაცს ისეთს
 ნიშნებს, რომელნიც მოწმობენ ხასიათის სი-
 მტკიცესა და პირად გამბედაობას. თითქოს ეს

უსინილოგოური ფაქტი ჰქონია სახეში ავტორს,
 როდესაც ამბობს: „ამ ლაპარაკში იყვენ (დე-
 და ილასა, ოქროულა, მისი მახლი თვინა), რა-
 ცა ეზოში შემობრუნდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის
 ყმაწვილი ბიჭი: მალა-მალალი და მსხვილ მხარ-
 ბეჭიანი, მოკძო და წითურ პირისაგანვე ახლად ჰქო-
 ნდა ამწვანებული წვეთურღელვაში. შვიე დიდრანი
 თვალეზი მოწმობდენ, რომ მამაცი და ხსიათ მტკი-
 ცე უნდა ყოფილიყო. ყმაწვილ ბიჭს წელზე ერთყა
 ახალი ქამარ-ხანჯალი, თეთრი ახალი ჩოხის კალთე-
 ბი უკან შეეკალთაენა, წელში გავრქოა ნამგალი და
 ზურგზე ეკიდა გულა. ფერზე მოეგღო ნაბდის
 ქული და თავომწონეთ მიდიოდა პირ-და-პირ სა-
 ხლის კარებისკენ“...

ჩვენ თუ კარგად ჩაუკვირდებით ილას აღზრდის
 საქმეს ოჯახში, ადვილად დაინახავთ, რომ მას აკენო-
 ბიდანვე ჩანერგა ცხოველი სურვილი; თავის შესა-
 ფერი დამოუკიდებელი თავისუფალი ცხოვრებისა.
 და ეს გარემოება სულ კარგი დედაკაცის სა-
 ქმე გახლდათ. შეილსაც ხომ ესმის თავისი დედის
 ამბავი? „დედაჩემს (რომელსაც ქმრის სიცოცხლეშივე
 გამოეცადა ეალცა და მოჯამაგირებოდა) ეენაცელო
 სულში, რომ იმან აგერ შემეჯავრა ეალი და მო-
 ჯამაგირებოდა, თორე ერთ ლუკმა პურსა ევამ დღეს
 ლეთით, იქნება ისიც აღარა მქონოდა“—იტყვდა
 ხლომე ილი. მართლაც და, ილი მოყვანილობასთან და
 გამრჯელობასთან ერთად, ძალიან თავომწონე, გა-
 მბედავი და თავისუფლების ბიჭა. უნდა, უმტკილად,
 ყოველისფერი თითონ გამოიკედლოს და, რასაც ერთ-
 ხელ გულში ამოიკრის, სისრულეშიც მოიყენოს ხო-
 ლმე. „კაცმა ეველაფერი უნდა გამოეკედლოს. ეთქვი,
 იორბი უნდა წაიელო-მეთქი (საფქეავიო) და სტყვას

ალარ გადაველ“. თავის ამხანაგებსაც ზმირად ეტყვის ხოლმე: „შენ არ იცი, რომ მე ილიას მეძახიან?“ გლეხ-კაცობაც აფასებს ამ გვიარს მშრომელს ბიჭს: „ღმერთმა დალოცოს შავის გამდლის ძუძუ, ერთი სიტყვით, მთელ ღუნიაზე არ დაიბადება მაგვითან ფოლადიანი ბიჭო.“ როგორც ხედავთ, ეგ ბიჭი თავისი ხასიათით და პირადი ყოფაქცევით სხვა დანა-რჩენ გლეხის ბიჭებს უნდა მეტობდეს ცოტათი. და ეს სწორად ასეც უნდა იყოს. ავტორმა უმეტრ-ნაკლებად დახატა გლეხის შვილი, რომლის ყოფაქცევე, ხასიათი და მოქმედება ცხოვრების აუცილებელ გარემოებას ცხოველი სინამდვილით შეუქაყმირა. აქ უფრო მკაფიოთ და მეტის ნიშნობლივი თვისებით არის დახატულ-გამოქანდაკებული ის, რასაც ტენი-„преобладающий характеръ“-ს ეძახის. მეტი არაფერი ილია თვალსაშეიშობა მაისხილად ოხრად დატრე-ცებულმა ოჯახი ფეხზე წამოაყენა; არც ვალი აქვს, „სუ ყველასფერი მზად“ ეგულდება. ათი დღის ნახნაფთან, ძველიც ბევრი აქვს, ენახიც კარგი და სამი თუ ოთხი თუმანი ფულიც. საკუთრების მოსიყვარულე ქართველი გლეხისათვის ესეც საკმაო ყოფი-ლა! მაშ რაღა უნდა აკლდეს ამ სოფლის ყმაწვილს ბიჭს, ჩვენს ილიას? აკლია ცოლი, ჭირსა და ღმინის შუაზე გამოყვრი მეფულე, რომელიც შვირთო კიდევ და მემკვიდრეთ შვილიც გამოაუნდა. ჩვენ გული არ გეითმენს, მოთხრობიდან არ ამოვი-ლოთ ის შეენიერი ადგილი, სადაც საუბარია გამართული ახალგაზდა მშობლებს შორის თავიანთ ერთად ერთის შვილის მომავალ ბედ-იბნაღზე და ერთობ გარკვევით ჰხატავს ადამიანების ზნე-ხასიათის ნამდვილს, ქვეშარატს სურათსა და სახეს. აი, ეს ადგილიც:

ბუნება ახლად არის გაღვიძებული. შუაღლე გადასულია. სოფე — დამ გამოვიდა და გაუმგზავრა მრავლეთისკენ ერთი დაყაჯრული კვიციანი ცხენი, რომელზედაც იჯდა შალ-წამოსმული ყმაწვილი ქალი. ქალს ფეხები უზანგოების თასმებში ედგა და ხელში ეჭრა საბარში გახვეული ბაგენი. ყაჯარს ტეშე, უნაგირის საწიკეტებში, იყო ჩაკრული პატრია ხურჩინი: ერთ თვალში ტანისამოსის ბოლო იყო, მეორე თვალში კი იღო ერთი შოთის პურა და იდგა ერთი პატრია ქუტია ღვინო - რძის ეახში. ცხენის ჯილდოე ეჭრა ახალგაზდა ყმაწვილი ბიჭს, მორთულს სამეფო ტანისამოსით, რომელიც უკან-უკან იხედებოდა და ესაუბრებოდა ქალს. ქალი ხან-გამოშვებით იძახდა: „რძე-ო, რძე-ო, წამო-დი, გი-გეიასა შვილი!“

„როცა კარგა მოშორდენ სოფელს, ყმაწვილმა კაცმა მიჰმართა ქალს:

— ერთი სიტყვით, ისე უნდა გამოიხარო ე გი-გია, რო ღომი უნდა გამოიყენო!

— მე რა ვაგვიხარო, რა! — უპასუხა ქალმა ღმ. მილითა და ნებებრობის კილოზედ.—მე ძუძუსა და მოვლას არ მოვაკლებ და გაზდა ღმერთზე ჰკილია.

— ღმერთზე ჰკილია, მაგრამ თუ შენ გეყვარება და კარგად მოუვლი, ღმერთიც ხელს მოუშარბავს.

— მარტო ჩემი ხო არ არი, რო მე მიყვარდეს? შენც უნდა გიყვარდეს.

— მე არ მიყვარს! ჩემი მზემ და თავი არ მო-მიკვდება, ეს სამყვერ მაინც მინახამ სიხმარში, რო მითომ გიგია დღისი მებრეთ გუთანზე ედგა.

— უი, ი დღეს შევესწრობი?

— ჰაი, თუ ღმერთმაც ხელი მომიმართა! ავეთი რამ უნდა გამოვიყენო, რო ხუთმეტი წლისას ღამი მებრეობა შეეძლოს. იგვრე კი არ უზამ, როგორც მამარქმამა მე მიყო, რო მხანაფანა კატაც არ გაუშე ჩემ ბეგლამზე. ღვითთ, ეხლა ყვეარი ხარი მყავ. მი-ნამ გეგვას მებრეობა შეეძლება, ოთხ-ხუთ უღელ ხარ შეყრი. მაშინ ყველანი შემეხვეწებიან, რო შა-უბა ხარები და გიგაიც მივაყოლო ღამი-მებრეთ; მე კიდევ შინ დავტრიალდები.

— ეი, ეს უნდა ღამე ხარში ატარო და შენ კი შინ უნდა გამოიძინო? და!

— არ გამოვიძინებ კი, შინაც საქმეს ვავაკეთებ. მინამდღის კიდევ დავებრედები, — უპასუხა ღმირით.

— დაჰმტრედები, თუ რაც მოგივა, მე ამას იგვრ პატრას ვერ გავიმეტებ საღამი-მებრეთო.

— როგორ, შენა გგონია მე კი ვავიმეტებ? მე ვამბობ, ისეთი უნდა გამოვიყენა-მეთქი, რო დღისი-მებრეობა არ იკადროს და პირდაპირ ღამი მებრეო-ბა მოინდომოს თითონე. მე განა დღიე ვიყუ? ღა-მი მებრეობა რო დავიწყებ-რ! მეც ხუთმეტ-თექმე-მეტი წლისამ დავიწყებ ღამი მებრეობა.

— შენი საქმე სხვა იყო, და ამისი საქმე სხვა არი. შენ არც კი ვახსოვს მამა და ამას მამა ღმერ-თმა უტოცხლოს, რა აქვს გასაჭირი?

— გასაჭირი კი არა გვაქვს-რა, მაგრამ, მე ვი-ქნები თუ ევა, უნდა ერთ-ერთმა, აუცილებლად ღამი მებრეთ ვიაროთ, ამიშთინ, რო ხარები გმამ და იმითი თავის დანებება და სხვის ხელში ჩაყრა არ იქნება. საგუბი რა გავს უმეტრონად სხვისა სულ ში ჩაყაროს, ამითი ამქვი აღარ უნდა ჰქონდეს; ხო გავგიგონია: „ხარი სხვისაო, სახრე ტყისაო“. პატრო-ნი კი რო გვერთ ყოვლებათ, ბალახსაც მიუშარ-ჯვებს. და ტოლს დადებითაც არ გააღახვინებს: შენ არ იცი მებრეების ეშმაკობა?

— მეტი რა გამოვიგონა მაიმინე-მავან.

— ჰო, და ე ამას გეუბნები, რო ვერეა!

— ღმერთმა ყოთილის ყურით გავგიგონოს, გ-მეულიდამ მოჰდგამს ჯიში და დედულეთიდა. მამა-



ჩემი არ არი, რო, რაც გამოხდლილა, სუ გუთანი უჭირამ.

— ეჰ, კაცი თითონაც უნდა გამოვიდეს, თორე! მამჩემს თავის სიცოცხლე მოჯამავირობაში დაუ-
ღვინენია, მაგრამ მე არც კი ვიცი, მ-ჯამავირობა
რასა ჰქვინა. მეც რო მამჩემის კვალზე წასულიყავ
ებლა სხვის ხელში შამყურე ეიქნებოდა. მაშინ ხო
ზედაც არ შამამხედავდი! დაუშატა ღიმილით.

— მე კი შამოგხედავდი, თუ მამჩემი შამამა-
ხედებდა. სუ იმას ამბობდა: „ვეთე ოჯახში უნდა
ჩავადლო ჩემი მარიკოვო, რო, ეინიცობა არის,
ჭერიობა ენეროს და ღეკრიედესო, ეენახების ღო-
ბებშია შინახონო.“

— ეი, გამოჰკრა ამანაც!

— ო, გიგიას სიცოცხლემი!..“

ამ გეკრი მარგალიტები, რომელიც სრულიად
ახასიათებს მოთხრობის გმირს, ბევრია გავანტული
ამ ნაწარმოებში, მაგრამ, უადგილობის გამო, ჩვენ
იმათ აქ მოტანას თავს ვანებებთ. დაკვირვებულო
მკითხველი თითონაც გამოახავს, თუ გაიჩრებდა.

კაცს გულთი გიხარბია, რომ ობლად დარჩენი-
ლი, ღარიბი ოჯახის შვილი ილია, რომლისადმი
სიბრალული და თანავრძნობა მკითხველს თავის თა-
ვით ებადება, ცხოვრების ამ საუფესურაჲდის მოეიდა,
შეიქნა ოჯახისა და ცოლ-შვილის პატრონი გლე-
ხი, განდა წვერი სოფლის საზოგადოებისა და... იწყე-
ბა სამომენტის მომგერელი ფიქრი და ოცნება ცო-
ტა მხატვ კუუსია და სუბუქი მკითხველისა...

და სწორედ იმ დროს, როდესაც ამ კაცს
უნდა სოფლის საზოგადოების ჰიროს და ღონის ფე-
რხელში ჩარეე. წუთისოფლის გაუტანლობა აღარ
დანიღობს, საშინლად დაეტყება და თავის გაბინძუ-
რებულს წუმბეში ჩაითრეეს და ხაუკუნით დაღუპავს
სულით და ხორციით, ცოლით და შვილით. წარმო-
იდგინეთ, იმ წამსვე, რა წმსაც ამ პატრონისა მშრო-
მელმა გლენმა თავზე ხელი მოსიდა, ქული დადი: „ურა
და ამ წერტილზე დამგებარი თავ-თავის ანგარიშს
აძღვეს, რომ საზოგადოებას შეუეკაშრადეს და გა-
ხდეს იმისი ინტერესებისა, უფლებათა და ვალდებუ-
ლებათა თანამოზარე, ბერი. ამავე წერს, ამავე
იმის მომავალ თანამოზარეს ჰღუპავს და ანადკურებს
თავით სოფლისავე ცხოვრება... ეს გარემოება ღირსია
იღიოს და განსაკუთრებულად ყურადღებისა. ჩვენც
აეტბოთან ერთად მხატვლის ამ ყოფის დასურათებას,
შემძლებისდაგვარად, მოკლეთ გამოეარეკით იგი,
რომ უფრო ნათლად და გაგებით წარმოვიდგინოთ
ცხოვრება სოფლის, საზოგადოდ, და მასთან, საკუ-
თრიც, შემდეგი ბედი მოთხრობის გმირისაც

მთელი შინაარსი მოთხრობისა ორს ფრიად

საკურადღებო სავანს შეგნება. ერთი სავანია ქა-
თელი გლენის შვილის თან და-თანობითი ზრდა:
მიმდინარეობა, მოქმედება და სარგებლობის შეძენის
სურვილი თავის თვისა, ცოლ-შვილისა და საზოგა-
დოებისათვის. ხალა მთორე სავანია თვით ეს სა-
ზოგადოება, იმის ყოველ-დღიური ცხოვრება და იმის
ასეთი, თუ ისეთი დამოკიდებულება სოფლის თეთო-
ულს წვერთა შორის. აეტბოს პირისპირ დაუყენება,
ერთი მხრით, სოფლის და პატრონისა ჯანმრთელი
მეუშაკი და, მეორე მხრით, სოფლისავე საზოგადო-
ცხოვრება. მაგრამ მართა ამ ორი დედა აზრის პი-
რისპირ დაყენება, იმათი ს-ნამდელით დახატვა იმდე-
ნი კიდევ არაფერია საქმე ის არის, მხატვარმა
ნათლად გვიჩვენოს საღმრთოდ დაარსებული კე-
შირი ამ ორს სავანს შორის და იმის დაკვირვების
ნიჭმა და ცხოვრების კოდნამ გარკვევით და ცოც-
ხლად დაგვანახოს კეშირით დამოკიდებულება
საზოგადოებრს წვერთა ურთიერთობისა. „ბნელოს“
აეტბობს სწორეთ ამ თია ძლიერი და იმისი ნიჭის
ღირსებაც აქ ახატება.

ამიტომ ჩვენ მოგვხდით ამ საზოგადოებასაც
და, ვიდრე იგიას „კნიაზი“ შაქრო და მამასახლისი
ქურდობას დაწამებდეს, დაიჭრდენ და ილაც ბნე-
ლად მოინათლებოდეს, ორიოდ სიტყვა ეთქვათ
შაქროსა და მამასახლისი გიგიაზე. დაეიწყათ „კნიაზ“
შაქროდან... ნურას უკაცრავად მკითხველთან, რომ
დღევანდელი ცხოვრების გასაგებთ, აწინდელი სო-
ფლის საზოგადოების გასაცნობლათ დაგეჭრდება
გაღილი „შვე დღეთა“ თვალის გადავლება. მკით-
ხველი ენდოს ჩვენს ზრდილობას, რომ სიტყვას
მოკლედ მოგვჩიოთ.

მე XIX საუკუნის დაწვებისათანვე მოისპო სა-
ქართველოს დამოკიდებული არსებობა და უმედ-
იბლო, ერის წარმომადგენელი, თავდა-აზნაურობას
დაეკარგა ცხოვრების დედა-აზრიც შიმომელს ქვეყა-
ნასა და იმის შვილთ შორის ჩადვა ძალა, რომელ-
მაც იტყირთა სხვა გეკრად საქართველოს მართე-
გამეგება და გარეშე მტერთა მოგერებაც. ამ ძალამ
თავდა-აზნაურობას დიდი რიხითა და სიმტკიცით
გამოუცხადა, რომ შენს საკუთარს თავს მოუარე
და სხვა კი. ამიერიდან ხელდაბანილი იქნებაო.
საქართველოს თავდა-აზნაურობაც ძალა-უნებურით
დაჰნებდა თავის ბედს, აღბათ, სულს ქვეშე რომ
თქვას კაცმა, იმდომაც, რომ ამჯობინა ხელის გაძ-
ვრას და დაუცხრომელს მღვიმარებას ხელის მიერ
მხატვრულად ნათქვამი სიტყვები: „მუდამ ხელ-და-
ბანილი იქნებიო“. როგორც ეს მოსალოდნელიც
იყო, საკუთარი წოდებრივი ინტერესების დაცვა და
თავის მოვლაც ევლარ მოახერხა ნეთიერად დაწინა-

ურებულ ბრძოლისათვის მოუშნადღებულმა „მუდამ ხელ-დაბნილმა“, მოსვენებით დაამებულმა, ფაქიზმა თავად-აზნაურობამ და მხოლოდ მეტრ-მეტად გადაჭარბებულს უზრუნველს ყოფა-ცხოვრებას მიეცა მთელი თავისი ეშხითა და ნეტარებით. ან რა უნდა ექნა იმ გარემოებაში მყოფს, რა გარემოებაშია ცხად ჩაგდო ახალ, დამშვიდებულ ცხოვრებისათვის მოუშნადებელი ჩვენი თავად-აზნაურობა ისტორიის უკულმართობაში დაფიქრდით და ისე განსაჯეთ!.. ხელ-ფხვ შერეული, პატივ-აყრილი და უფლება წართმეული უპირატესი წოდება დაცვა საშინლად, თითოეუ დაეკარგა აზრი არსებობისაც... და ზნეობითაც განადგურდა. მართლაც და ფერ-მკრთალი ქალი, აზარფეშებით სავსე ღვინო, „არწყით ჭიკჭიკი“ და უაზრო სულის და ხორცის წამბილწველი ქვიფე შეიქნა უპირველესი, უაღრესი სავანი საქართველოს უპირატეს წოდების „ამ წუთი-სოფლის ცხოვრებისა“. მთელი პირველი ნახევარი მეცხრამეტე საუკუნისა არის ისტორია მხოლოდ აზიურის, ნამდვილის ყიზილ-ბაშურის ლხენისა და ქვიფისა...

ასეთმა უაზრო და უზრუნველმა ყოფა-ცხოვრებამ თავად-აზნაურობას წააგებია მთელი თავისი ქონება და სწორედ იმ დროს, როდესაც მიუფალოვდა დიადის განსაცდელის უბედურების საშინე... უფსკრულს, რუსეთსა და ჩვენში მოხდა ფრიად შესანიშნავი აშბავი: ყუშპი გათავისუფლდა...

ამ აშბავმა სულ ერთიანად შეარყია საქართველოს შვილთა ცხოვრება და ჩვენს მდგომარეობას მიეცა სხვა გვარი მსვლელობა, განსაკუთრებული სახე.

„კნიაზი“ შაქროს გაჩენის დღე და ცხოვრების ისტორიაც აქედან იწყება. საქმე ის არის, რომ თავად-აზნაურთა ცხოვრება საქართველოში, ბატონ-ყმობა რომ გადადარდა, მას შემდეგ, უფრო ნათლად სამგვარი მისმართლებით აღიბეჭდა. უმცროსებით თავად-აზნაურები ნიეთიერი ქონებისა და გამდიდრების გზას ეყრდნობოდნენ და ჩარჩოთ, მოეახშეთა რიცხვს ამრავლებდნენ... მეორე რიგი შეუღდა გლენ-კაცივით მუშაობასა და ტანჯვასა და, თუმცა სიღარიბე და ცხოვრების განსაცდელი იმასაც წელში წყვეტს და აპირუტყვეებს, მაგრამ თავისი საკუთარი ხელგებით მოაზრებულის ნაშრომით სოფლად თავს იჩინეს და ცოდ-შეღოსაც ძლივს-ძლივობით ინახავს. მესამე რიგს ე. ი., გადამეტებულს ნაწილს თავად-აზნაურთა (უფრო კი თავადთა, რომელთა რიცხვი, შედარებით მეტა ქართლ-კახეთში) „კნიაზი“ შაქროს ყოფაქცევა და ცხოვრება შეუთვისებია და იმასავითვე უქმად უსინდისოდ და ქვეყნის საზარლად ჰქმს ამ წუთი-სოფელს. აი, ეს წრე ჩვენი „ბედნიერი“ ქვეყნის

შვილებისა სრულიად უყურადღებოდ იყო ქართველ ბელეტრისტების მიერ. ქართველ ბელეტრისტებს, ვითარცა „პატრიოტებს“ გულით ჰსურდათ, ალბად, არ გამოეწეოთა ჩვენი თავად-აზნაურებისა და მტრების წინაშე ის საშინელი და მძიმე, უბედურებისა მომასწავლებელი განსაცდელი, რომელსაც უქადა და უქადის ჩვენს სამშობლოს გასაშტებელი რიცხვი საქართველოს, აკრედ წოდებულ, „თავად-აზნაურთა პროლეტარიატისა“, მაგრამ ღეთის წინაშე უნდა ითქვას, რომ ასეთი გარემოებისა მეორე მიზეზიც გახლდათ. ქართველ ბელეტრისტებს, უუქველად, უფრო ეადვილებდა ძველებური, დიდი ხნად ნევე ყბად აღებულნი, ისტორიის ზეირთა ცემით საშინლად დაეცავებულნი, სამუდამოდ წალეკილი ტიპი უპირატესი წოდებისა, ტიპი უკვე „განსვენებულთა წილთა შინა აბრამისა“ და ამას იქით ერთს ნაბიჯსაც წინ აღარ დგმენ.

ახალმა ცხოვრებამ, ახალმა მოთხოვნებამ სრულიად ახალი ფაცა-ფუცი, ამოღებულნი ხანიათისა და ყოფაქცევის ხალხი წამოაყენა წინ, მაგრამ ამათი ცხოვრების ზედ-მიწვენით შესწავლასა და ღრმად დაკვირვებას, „პატრიოტობასაც“ რომ არ შეეკავებინა ჩვენებური თითის მლოკელნი ბელეტრისტ-ღრამატურონი, დამეთანხმეთ, რომ დიდი ნიჭი და მომზადებაც უნდა. და სწორეთ ეს უკანასკნელი უმეორავსესი სამკაული აკლდა ჩვენს „მწერლობას და, ამიტომაც მოხდა, რომ ისინი ახალმა ცხოვრებამ უკან, სულ უკან ჩამოაყენა, ჩამოარჩინა და სამუდამოდ გულსაკლავად ერთს უწერტილზე გარეცა. მელანიაშ უარჰყო ძველი მწერლობის საქციელი და მანერა წერისა იმას სავნად გაუხდია ახალი ცხოვრების დასურათება და სწორეთ ამ მხრითა და მიზნით ჰკიდებს იგი ხელს კალამსა. „კნიაზი“ შაქროს მის მიერ დასურათებული, ცოცხლად, ნამდვილი მსაბერობით არის წამოყენებული თქვენ თვალთა წინაშე და გონებაში სტოვებს მკვიდრისა და შეურყეველის, ღრმა შთაბეჭდილების კვალს. აქვე შევნიშნავ, რომ „კნიაზი“ შაქრო უფრო, აგრე წოდებულ, „გარდაღებულ ხანის“ კაცია... მაგრამ, ნება გვიბოძეთ, აქ სიტყვა დაუთმოთ თვით ავტორსა.

„თავადის შაქრო დიდებულის ძამა დიდი ყმისა და მამულის პატრონი იყო; ამისათვის შაქროს ძალიან კარგი ქარი უქროდა ბატონ-ყმობის დროს. როგორც იყმის შვილი, იგი მაღელ ჩაჰარდა იმ ნეტარ ცხოვრებამ, რომელშიაც ცვიდებოდნენ, საზოგადოდ შეძლებულ თავადთა სიყმის შვილები ბატონ-ყმობის დროს. მისდა საუბედურად, სწორეთ მაშინ მოასწრო შაქროს ბატონ-ყმობის გაუქმებამ, როცა თავის ყოფა-ცხოვრების სიტკობა ის იყო, გაუფლდა ძე-

ლსა და რბილში. ორჯელ ძლიეს მოასწრო შაქრომ მაკრობა ოთხ-ოთხი ბიკით და ხავერდის ქულაჯით. თუმცა არც შემდეგში ანებებდა თავს მაყრანას, მაგრამ შემდეგში როგორც ბიკების რ-ც-ეც მკორღებოდა თან-და-თან, ისე იმისი მორთულობაჲ ჰქარავდა წინანდელ ემსხ. იმ ხანებში, როცა ჩვენ შაქრო ველიცანით, უბიკოდაც დადიოდა მაყრად ნათარავარი ცხენით, უფრო ხშირად გლეხის ქორწილებში. ტანისამოსიც ერთი და იგივე ეცეა: რაც შინ, ის მაყრობაში:—უბრალო შალის ჩერქესკა, ყაზახური ქუდი და უქუსლო ხარაზული ჩუსტები, ნეტარი ცხოვრება შაქროსათვის მოსპობა იმას შემდეგ, რაც მან, მამის მიწოდებითობის, მიიღო თვილისა შაქროს ის ფულები და თავის სწორ-ამხანაგებთან ერთად ცის გახსნას შეასწრო თვილისის მეფთიკონეები და საზანდარ-მედადე-მეზურნეები, ბევრჯელ მოუყლიდა ხოლმე კინი წინანდელის ნეტარის ცხოვრებისა და, ზოგი ბრახ-მორეულობით, ზოგიც თავისის სურვილის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ დროთა-ვითარებამ ყველაფერი თან-და-თან მოათმინა და დავეიწყა კიდევ, მხოლოდ აქამომდე არ დაჭვიწყბოდა თავისი ხავერდის ქულაჯა. ისე ცოცხლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ თათქმის ახლაც ყოველს წუთს ზედ ეცეა და ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ხელი არ ეხლო იმასთანა რისთვისმე, რასაც კი შეეძლებოდა ქულაჯის გაჩირქიანება, გარდა ბოზბაშისა, ისიც იმისთანა გლეხ-კაცს ქორწილებში და ქელუხებში, სადაც კოვჩი არ იყო ხოლმე, შაქროს ხელებს სხვა არაფერი მიჰკარებია.

„მამა-პაპეული ქანებიდამ შაქროს კარგი წილი ერგო, როგორც მამულებისა, აგრეთვე ცხერისა, ძროხისა და სხვა ოთხფეხის საქონლისა. ყველამ იცის, რომ სისხლიან საქონელს ყოველთვის საფრთხე სდევს მრავალ-გვარი. ეს ყველაზედ უკეთა უფრო შაქრომ იცოდა, რომ უეტარი ჰირს იმისთვის, ცეცხლზე წყალი არ დაესხა, აბა და სისხლ-ანი საქონელი სულ ფულად აქცია. სულსქემე კი უნდა თქვას კაცმა, რომ ეს აზრი მართა შაქროს არ ეკუთვნოდა—ამაში იმის მეუღლესაც ჰქონდა მონაწილეობა. განა არ იყო ეს აზრი საქებზე? გულითგულის ადვილას დაიდგს, შიში აღარაფრისა ჰქონდათ და კენიშაც, როგორც ქეიფსა და სიამოვნებებს ჩეულმა, დროებზე გაატარა. მართალია, შემდეგში სკირდებოდნათ ხან ცხენი, ხან ძროხა, ხან ცხვარი და სხვა, მაგრამ ამ ნაკლულევენების მალე შეავსებდა ხოლმე შაქრო: ჰყიდა და მამულს და ყიდულობდა, რაც საჭირო იყო. მხოლოდ ის იყო მამა-პაპამ კუდად, რომ მამულ-დედული იმდენი არ დაუყოფა, დატოვა რომ რამდენიც უნდა გაეყინდა, თავის სიცოცხლე-

ში არ გამოჰყოფდა. მამულები შეუწყვირდა ისე, რომ ერთი პატარა ეენახი დარჩა და რამდენიმე დღის სახანე-სათესი მიწა და იმანდაც, კერძო ვალებს რომ თავი დაევენებოთ, „პრიკაზის“ ვალი იყო ბლომად. ერთათ ერთი წყარო ცხოვრებისა ტყელ აჰქონდა, თუმცა შაქროს ყველაზე ცოტა მონაწილეობა ჰქონდა ტყისა, მაგრამ ყველა მოამყებზე ბევრსა სარგებლობდა ტყიდან თავისის მომხრებით.

„შაქროს ერთი ცუდი ზნე შერჩა პატარა-ყმობის დროიდან. იგი დაჩვეული იყო პატარძლებში სიარულსა და ბოლოს-და-ბოლოს ძალიან ძვირად უჯდებოდა ხოლმე ეს ჩვეულება. თავის ცოლ-შვილს მიზრქვად ხოლმე თავის სიამართან, რომელსაც ეტყობა: „ჩვენსა თქვენსა სჯობია“ და თვითონ ნაფარდობდა პატარძლებში. ამ შემთხვევაში მამასახლისი მოკავშირეთა ჰყენდა. უძვირფასესი ადგილი შაქროსთვის სოფელში იყო არტემას დუქნის წინ; თუ სადმე სხვაგან არ შეექცეოდა, ყოველთვის აქა ჰნახავდა კაცა!!.

აი, ასეთი სულიერი გაზღაფთ თს ჩვენი ნაცნობი „ქინაზი“ შაქრო, დღენდელი შვილი, „ბედნიერი“ შვილი საქართველოს უპირატესი წოდებისა. გავაგანიეროთ ცოტათი ვიწროდ შემოხაზული ფარგალი და შაქროს გვერდს დაუშვინებს „აგრესიას წარბა“ („პირველი ნაბიჯი“—რომანი გ. წერეთლისა), გასაოცარი ხელოვნებით გამოქანდაკებული ტიპი საქართველოს დღენდელი რაინდებისა. იერგმია წარბას აზრდილია ტარიელ მკლავაძეც (ჩვენი ქვეყნის რაინდი—გვ. ნინოშვილისა). აწინდელი ცხოვრების ვითარებამ დაბადა ამ ტიპის ხალხი. ძველბურთ ტრადიციებით ტრახბოხბას, გვარიშვილობისა და წოდებრივს მედიდურობას სრულიად ჩაუტლავებს და დაუბრძამებია ეს ხალხი, რადგანაც ამის მეტი-და დასატრახბამელი და საამაყო აღარაფერი დარჩენია ამ კატეგორიის თვად-აზნაურთა. ვინ იცის, იქნება, სხვა რამ გარეშე მიზნულ ცოცს ამათა წყალ-წალე-ბულობისა; სწოლო უნდა ვთქვათ კი, რომ გონებით და ზნეობით საშინლად დაცემული და განადგურებული ხალხია ეს ხალხი... უმჯობესი კი იქნებოდა, რომ ჩვენი „ლიტერატარებიც“ ქართველების ყოველ გვარ უმზავსოებებს, ამ დაწყვეტილსა და ყბად აუბუფულს „გარეშე მიზნს“ არ აჰკიდებდნ ხოლმე მარგად და, სადაც მართალია სათქმელი, ვიტყოდი მართლსა. სიამართლი, ღელის წინაშე, მოითხოვს ვთქვათ, რომ შაქროსა და „იერგმია წარბას“ მზავისი ხალხი ნაღირა... მეტრს-მეტად გულ-საკლავი სამწუხარო და დიდად სავალალო ის არის, რომ ეს ყოველგვარად განადგურებული, განადირებული ხალხი აღარაფრის აღარ ინდობს, აღარასფრის შიში,

Handwritten signature and scribbles at the bottom of the page.

